ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა

ქართული ენა

1. *საზღვარგარეთ არსებული ქართული სამონასტრო-საგანმანათლებლო კერებია: ათონის ივერთა მონასტერი, ჯვრის მონასტერი (იერუსალიმი), საბაწმინდის ლავრა (პალესტინა), სინას მთა...*
თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი კერა. ---------- *1ქ.*
თუ დასახელებულია ორი კერა მაინც. ---------- *2ქ.*
2. *„განხეთქილების ვაშლი“ ნიშნავს დავის, შუღლის, უთანხმოების მიზეზს.* ---------- *1ქ.*
ეს გამოთქმა მომდინარეობს ანტიკური მითოლოგიიდან. ---------- *1ქ.*
3. *უნდა იყოს – ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებმა ახალი მოთხოვნები წაუყენეს სასწავლებლის დირექტორს. (მოთხოვნები და მოთხოვნილებები პარონიმებია).* ---------- *1ქ.*
4. ფუძეგაორკეცებული და ***და*** *კავშირით შეერთებული კომპოზიტები იწერება ერთად.* ---------- *1ქ.*
5. *ა) უნდა იყოს <u>ერთსა და იმავეს.</u>* ----------*1ქ.*
ბ) იგი ნაცვალსახელი ბრუნებისას ფუძეს იცვლის, სახელობითში უნდა იგი (-ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში – იგივე), ხოლო სხვა ბრუნვებში გამოიყენება ფუძე იმ (-ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში – იმავემ, იმავეს და ა.შ.). ----------*1ქ.*
6. *ა) უნდა იყოს <u>უზრუნველვყავით.</u>* ----------*1ქ.*
ბ) რთული ზმნები, რომლებიც წარმოქმნილია სახელისა და მეშველი ზმნის შეერთებით, პირის ნიშანს დაირთავს მეშველი ზმნის წინ. ---------- *1ქ.*
7. *-გან თანდებული დაერთვის ორ ბრუნვას: ნათესაობითსა და მოქმედებითს. თანდებულდართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აღნიშნავს მასალას ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან?* ---------- *2ქ.*
ნაწილობრივი პასუხი (-გან თანდებული დაერთვის ორ ბრუნვას: ნათესაობითსა და მოქმედებითს).- 1ქ.
8. *ა) უნდა იყოს: ეგვიპტის ფარაონთა სარკოფაგში აღმოჩენილი ჭურჭელი ინახავდა თაფლს, რომელიც საუკუნეების შემდეგაც ვარგისი იყო საკვებად.* ---------- *1ქ.*
ბ) მიმართებითი ნაცვალსახელი უშუალოდ უნდა მოსდევდეს მთავარი წინადადების საზღვრულ წევრს (მიმართებითი ნაცვალსახელისა და მთავარი წინადადების საზღვრული წევრის გათიშვა დასაშვებია, თუ მათ შორის მთავარი წინადადების შემასმენელია ან საზღვრულ წევრს განსაზღვრებად ახლავს მისათითებელი/ჩვენებითი ნაცვალსახელი). ---------- *1ქ.*
9. *ჩართული სიტყვა და/ან გამოთქმა მძიმეებით (ან ტირეებით) გამოიყოფა.* ---------- *1ქ.*
10. ***I*** *ა) ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც.* ----------*2ქ.*
ბ) დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი. ----------*1ქ.*
II. *ა) სასწავლო ქმედება აღწერილია.* ----------*1ქ.*
ბ) სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. ----------*0ქ.*
არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----------*1ქ.*
11. I. *ა) დასაბუთება არგუმენტირებულია.* ----------*1ქ.*
ბ) დასაბუთება არ არის არგუმენტირებული ან არგუმენტები არადამაჯერებელია. ----------*0ქ.*
II. *ა) სადისკუსიო თემა მართებულად არის ჩამოყალიბებული.* ----------*1ქ.*
ბ) სადისკუსიო თემა არამართებულად არის ჩამოყალიბებული. ----------*0ქ.*

III. *ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი.* ----------2ქ.
გ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი არგუმენტი. ----------1ქ.
დ) ჩამოყალიბებული არგუმენტები არაადეკვატურია. ----------0ქ.
IV. *ა) მსჯელობა არგუმენტირებულია.* ----------2ქ.
ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია. ----------1ქ.
გ) მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. ----------0ქ.
არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----------1ქ.
დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----------0ქ.
12. I. ***შეფასება***

შინაარსობრივი მხარე (I კრიტერიუმი)

ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით. ----------2ქ.
ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო. ----------1ქ.
გ) გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. ----------0ქ.

ენობრივი მხარე (II – III კრიტერიუმები)

1. *ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით.* ----------1ქ.
ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმების მიხედვით. -------0ქ.
2. *ა) მასწავლებელს გამორჩა* ***ერთი*** *ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი.* ----------3ქ.
ბ) მასწავლებელს გამორჩა ***ორი*** *ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა* ***ერთი.*** ----------2ქ.
გ) მასწავლებელს გამორჩა ***სამი*** *ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა* ***ორი.*** ----------1ქ.
დ) მასწავლებელს გამორჩა ***სამზე*** *მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა* ***სამი.*** ----------0ქ.
3. *ა) სწორია* ***ხუთი*** *ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია.* ----------3ქ.
ბ) სწორია ***ოთხი*** *შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია.* ----------2ქ.
გ) სწორია ***სამი*** *შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია.* ----------1ქ.
დ) სწორია მხოლოდ ***ორი*** *შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია.* ----------0ქ.
II. ***მასწავლებლის რეკომენდაციები***
ა) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია და მსჯელობა არგუმენტირებულია. ----------2ქ.
ბ) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია. ----------1ქ.
გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. ----------0ქ.
არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----------1ქ.
დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----------0ქ.

ქართული ლიტერატურა

13. ---------- ბ)
14. ---------- დ)
15. ---------- დ)
16. ---------- დ)
17. ---------- გ)
18. ---------- დ)
19. ---------- დ)
20. ---------- დ)
21. ---------- გ)
22. ---------- ბ)
23. ---------- დ)
24. ---------- გ)

წაკითხულის გააზრება

25. ---------- გ)
26. ---------- ბ)
27. ---------- ა)
28. ---------- დ)
29. ---------- ბ)
30. ---------- გ)
31. ---------- ბ)
32. ---------- ბ)
33. ---------- გ)
34. ---------- გ)

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის შეფასების კრიტერიუმები

დავალების მაქსიმალური ქულაა **20.** თუ რომელიმე მითითება არაადეკვატურად იქნება გააზრებული ან დაშვებული იქნება **ერთზე მეტი** ფაქტობრივი შეცდომა, ან პასუხი **50 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, იგი არ შეფასდება და დაიწერება **0** ქულა.

დავალების ყოველი ნაწილი (მითითება) ამგვარად უნდა შეფასდეს:

I კრიტერიუმი

№	*I მითითება (შინაარსობრივი მხარე)*	*ქულები*
1.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული; ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	**5**
2.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ***ზოგჯერ დარღვეულია*** მსჯელობის თანამიმდევრულობა ***ან არ ჩანს*** დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	**4**
3.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ზოგჯერ დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ***და არ ჩანს*** დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	**3**
4.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული; ***ჩანს*** დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**2**
5.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ***ზოგჯერ დარღვეულია*** მსჯელობის თანამიმდევრულობა ***ან არ ჩანს*** დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და დაშვებულია ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	**1**
6.	დავალების პირობა ან/და ნაწარმოების ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული, ან/და ***არ არის*** წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, ან/და დაშვებულია ***ერთზე მეტი*** ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	**0**

II კრიტერიუმი

№	*I მითითება (ტექსტის მხატვრული ანალიზი)*	*ქულები*
1.	ნაშრომის პირველ ნაწილში მკაფიოდაა წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას; მოხმობილია სათანადო მაგალითები.	3
2.	ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოჩენილია ნაწარმოების მხატვრული მხარე; ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას, თუმცა ზოგჯერ მოხმობილია ***არასათანადო*** მაგალითები.	2
3.	ნაშრომის პირველ ნაწილში ***სუსტადაა*** წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; ***მთლიანობაში*** ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას, თუმცა მოხმობილია არასათანადო მაგალითები ***ან/და*** მაგალითები საერთოდ ***არ არის*** მოხმობილი.	1
4.	ნაშრომის პირველ ნაწილში ***არ არის*** წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე ან/და ***არ არის*** ნაჩვენები, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას.	0

III კრიტერიუმი

№	*II მითითება*	*ქულები*
1.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	4
2.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ ***არ არის*** დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	3
3.	გამოკვეთილია პრობლემა; ***მოხმობილია*** მაგალითები, მაგრამ ***არ არის*** დამაჯერებლად განმარტებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	2
4.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით, მაგრამ ***დაშვებულია*** ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	1
5.	***არ არის*** გამოკვეთილი პრობლემა ან/და დაშვებულია ***ერთზე მეტი*** ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	0

IV კრიტერიუმი

№	*III მითითება*	*ქულები*
1.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	4
2.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ ***არ არის*** დამაჯერებლად დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	3
3.	***ნაწილობრივ*** ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	2
4.	***ადეკვატურადაა*** შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	***არაადეკვატურადაა*** შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში ან/და დაშვებულია ***ერთზე მეტი*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

ნაშრომის ენობრივი მხარის შეფასების კრიტერიუმები

V კრიტერიუმი:

№	*ლექსიკა, სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული; შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილისტური ხავეზი.	1
2.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია*** ან/და ***გვხვდება*** სტილისტური ხარვეზები.	0

VI კრიტერიუმი:

№	*სინტაქსი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული სინტაქსური შეცდომა.	1
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი:

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ერთზე მეტი*** მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	0